განკარგულება:**გ-49. 49261148**
თარიღი:**24/04/2026**

ქალაქ წყალტუბოში, ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე (საკ. კოდი # 29.08.34.187) განთავსებული კაფე -ბარის 08 (1) პირობით იჯარის უფლებით, აუქციონის წესით გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 14 აპრილის №48-482610498 წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიას სურვილი აქვს ქალაქ წყალტუბოში, ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე (საკ.კოდი N29.08.34.187) განთავსებული კაფებარი -შენობა-ნაგებობა N08(1) გასცეს იჯარის უფლებით შემდეგი პირობით: არაუმეტეს 12 თვის ვადაში მოიჯარე ვალდებულია განახორციელოს უძრავი ქონების რეაბილიტაცია/რეკონსტრუქცია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და გამოიყენოს დანიშნულებისამებრ) 10 წლის ვადით, საჭიროების შემთხვევაში მეიჯარის მიერ მოთხოვნისთანავე მოხდეს ხელშეკრულების ვადამდე გაუქმება და ითხოვს თანხმობას ქალაქ წყალტუბოში, ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე (საკ. კოდი # 29.08.34.187) განთავსებული კაფე -ბარის 08 (1) პირობით იჯარის უფლებით, აუქციონის წესით გადაცემის შესახებ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს ქალაქ წყალტუბოში, ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე (საკ. კოდი # 29.08.34.187) განთავსებული კაფე -ბარის 08 (1) პირობით იჯარის უფლებით, აუქციონის წესით გადაცემის შესახებ.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი